პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по делам физической культуры и спорта при Совете Министров Грузинской ССР и Грузинского республиканского Совета профсоюзов

გამოცემის მე-8 წელი

№ 30 (471) პარასკევი, 20 ივლისი, 1951 წ. ფასი 30 კაპ.

სპორტის პროპაგანდის მძლავრი საშუალება

მოსახლეობაში მასობრივი ფიზიკური კულტურის აგიტაციისა და პროპაგანდის მთავარ საშუალებას სპორტული შეჯიბრება წარმოადგენს. შეჯიბრების საშუალებით მოსახლეობის ფართო მასები ეცნობიან სპორტის სხვადასხვა სახეებს, ჩვენს ფიზკულტურელებსა და სპორტსმენებს, ინტერესდებიან გამართული ბრძოლით, ალტაცებაში მოდიან სპორტსმენთა ოსტატობით — სისწრაფითა და მოხერხებულობით, სიძლიერითა და საზრიანობით, კოლექტივიზმის გრძნობითა და მტკიცე ნებისყოფით.

სწორედ სპორტულ ასპარეზობათა წყალობით დღეს ყოველმა საბჭოთა მოქალაქემ იცის, რომ ფიზიკური კულტურა და სპორტი — საბჭოთა კავშირში მშრომელთა კომუნისტური აღზრდის განუყოფელი ნაწილი — ადამიანს უკაჟებს სხეულს, ჯანმრთელსა და ხალისიანს ხდის მას, უმაღლებს შრომისნაყოფიერებას, გამოუმუშავებს დისციპლინასა და ნებისყოფას, უმტკიცებს ნერვულ სისტემას.

ფიზიკური კულტურა და სპორტი ჩვენი ყოველდღიური ცხოვრების შემადგენელი ნაწილი გახდა. იგი თვალსაჩინო სამსახურს გვიწევს შრომაში, სწავლაში, დასვენებაში. უდიდესი და დაუფასებელია სპორტის მაორგანიზებელი როლი საბჭოთა ახალგაზრდობის ყოფა-ცხოვრებაში.

საბჭოთა ხალხს გატაცებით უყვარს ფიზკულტურელთა ასპარეზობა. სპორტული შეჯიბრება, რა სახეშიც არ უნდა ტარდებოდეს იგი და სადაც არ უნდა იმართებოდეს, — ქალაქად თუ სოფლად — მუდამ მაყურებელთა დიდ რაოდენობას იზიდავს. და რადგან შეჯიბრება ფიზიკური კულტურისა და სპორტის აგიტაციის ერთერთი მთავარი საშუალებაა, მის მოწყობასა და ჩატარებას ძალზე დიდი ყურადღება უნდა მივაქციოთ.

ფიზკულტურის საოლქო, საქალაქო, რაიონულმა კომიტეტებმა, ნებაყოფლობითმა სპორტულმა საზოგადოებებმა, უწყებებმა განსაკუთრებული მზრუნველობა უნდა გამოიჩინონ ყოველი შეჯიბრების ჩატარებისადმი. აქ ყველაფერი ანგარიშგასაწევია: ასპარეზობის ორგანიზაციული, ტექნიკური მხარე, კვალიფიციურ მსაჯთა შერჩევა, დაწესებული ვადებისა და დროის ზუსტი დაცვა, შეჯიბრების ადგილის გაფორმება, რეკლამა, მაყურებელთა მომსახურება და სხვ.

ამავე დროს, ადგილობრივმა ფიზკულტურულმა ორგანიზაციებმა სისტემატური, მეთოდური მუშაობა უნდა აწარმოონ მოსახლეობაში სპორტის ცალკეული სახეების სტრუქტურის ახსნა-განმარტებისათვის, წესების გაცნობისათვის. ფიზკულტურულ ორგანიზაციებს მუდამ უნდა ახსოვდეთ, რომ მათ ისევე ფართოდ უნდა გაშალონ მაყურებლებში აღმზრდელობითი მუშაობა, როგორც სპორტსმენთა შორის. სამწუხაროდ, ჯერ კიდევ არის ფაქტები, როდესაც ცალკეული მაყურებელი თავისი უვიცობისა და დაბალი კულტურის გამო საბჭოთა მოქალაქისათვის შეუფერებელ საქციელს ჩადის — უმართებულო და უადგილო რეპლიკებით ერევა მსაჯის ფუნქციებში, ხელს უშლის შეჯიბრების ნორმალურ მსვლელობას და სხვ. მაყურებელთა ასეთ შეუფერებელ გამოხდომას, მაგალითად, ადგილი ჰქონდა საქართველოს წლევანდელი საფეხბურთო გათამაშების მატჩების დროს ცხაკაიის, წყალტუბოსა და სხვა სტადიონებზე.

მიმდინარე სეზონში უკვე ბევრი მნიშვნელოვანი სპორტული ღონისძიება ჩატარდა. განსაკუთრებით დიდ ინტერესს იწვევს რაიონულ ცენტრებში გამართული „ა“ კლასის ოსტატ ფეხბურთელთა გუნდების დუბლიორთა შეხვედრები. ქუთაისის, გორის, ხაშურის, რუსთავის სტადიონების ტრიბუნები ყოველთვის ხალხით არის სავსე. უნდა აღინიშნოს, რომ ამ ქალაქების ფიზკულტურის კომიტეტები სერიოზულად უდგებიან შეჯიბრებათა მოწყობას: ჩამოსული გუნდები უზრუნველყოფილი არიან ყოველგვარი საჭირო პირობებით, ასპარეზობის შესახებ მოსახლეობა თავის დროზეა ინფორმირებული აფიშებითა და ადგილობრივი რადიოგადაცემის საშუალებით, შეხვედრის ადგილი წესრიგშია მოყვანილი და სხვ. სამწუხაროდ, ასე არ ითქმის საქართველოს პირველობის მატჩებზე, რომლებიც დედაქალაქში ტარდება. თბილისელმა მაყურებელმა მათ შესახებ, ხშირად, არაფერი არ იცის: რომელ სტადიონზეა დანიშნული თამაში, რომელ საათზე იწყება იგი, როგორი შემადგენლობით გამოდიან გუნდები და სხვ.

ამას წინათ, თბილისის ფიზკულტურის პარკში გაიმართა ჯერ ამიერკავკასიის რესპუბლიკების ტრადიციული შეჯიბრება ცურვასა და წყალბურთში, შემდეგ საქართველოს თასი წყალბურთში. ორივე შეჯიბრების დროს წყალჯომარდობის აუზი კარგი გემოვნებით იყო გაფორმებული. ამავე დროს, მაყურებლები მუდამ ღებულობდნენ ასპარეზობის მსვლელობის შესახებ საჭირო ცნობებს: მიკროფონთან იყო რადიოკომენტატორი.

მაყურებელთა კარგი მომსახურების მიზნით ამ ბოლო ხანებში დიდი მუშაობა ჩატარდა ლ. პ. ბერიას სახელობის „დინამოს“ სტადიონზე (დირექტორი ამხ. ვ. დიდიძე).

რესპუბლიკის ფიზკულტურულ და სპორტულ ორგანიზაციებს მტკიცედ უნდა ჰქონდეთ შეგნებული, რომ შეჯიბრებაზე უშუალოდაა დამოკიდებული მოსახლეობაში სპორტის პროპაგანდის საკითხი. რამდენადაც კარგად, მაღალხარისხოვნად იქნება ორგანიზებული შეჯიბრება, მით უფრო ქმედითი იქნება აგიტაციის ძალა.



★

საქართველოს პირად-გუნდური პირველობა ტრეკზე. სურათზე: აფხაზეთისა და აჭარის ველომარბიელ ქალთა გუნდების რბოლა 3 კილომეტრზე. წინ არიან აფხაზეთის წარმომადგენლები.

ფოტო კ. კრიმსკისა.

★

უძლიერესთა ასპარეზობა ტრეკზე

საქართველოს პირად-გუნდური პირველობა

...როდესაც დიქტორმა გამოაცხადა — ჯგუფური რბოლა 100 წრეზე — მაყურებლებს მოუთმენლობა დაეტყოთ. ტრეკის ეს მეტად რთული და ლამაზი სახე სამართლიანი პოპულარობით სარგებლობს სპორტის მოყვარულთა შორის. საინტერესოა იგი კიდევ უფრო იმით, რომ მონაწილეებს ფინიშის ხაზის ათჯერ გადაჭრა უხდებათ (ყოველი ათი წრის შემდეგ). ყოველი ფინიში ქულათა გარკვეულ რაოდენობას აძლევს სპორტსმენს; ამიტომ, ჯგუფურ რბოლაში ველომარბიელის წინაშე დასმულია ამოცანა, რაც შეიძლება სწორად განაწილოს ძალები და ფინიშისათვის ენერგია შეინახოს.

მესტარტეს ნიშანზე დაიწყო რბოლა. სამი წრის გავლის შემდეგ მთავარ ჯგუფს გამოეყო რამდენიმე ველომარბიელი, მათ შორის სპორტის ოსტატი ვ. ჯონჯოლიანი და ახალგაზრდა ნიჭიერი სპორტსმენი ვ. ქინქლაძე. მაგრამ დანარჩენებიც ფხიზლობენ — დიდ მანძილზე არ უშვებენ ლიდერებს. ტემპი სულ უფრო და უფრო მატულობს და აი, პირველი ფინიში... მას მოჰყვა მეორე, მესამე...

დიქტორი აცხადებს: წინ არის ჯონჯოლიანი.

ბრძოლა სულ უფრო დაძაბული ხდება. განათლების სამინისტროს წარმომადგენელი ვ. ქინქლაძე ფეხდაფეხ მიჰყვება წინმსვლელს და ბოლო წრეებზე იგი რამდენიმე ენერგიული ფინიშით უსწრებს ჯონჯოლიანს. ამრიგად, პირველ ადგილზე გამოდის ვ. ქინქლაძე.

ეს ლამაზი სპორტული პაექრობა ორ ველომარბიელს შორის გაიმართა ამ დღეებში თბილისის ლ. პ. ბერიას სახელობის ველოტრეკზე, საქართველოს 1951 წლის პირად-გუნდური პირველობის გათამაშების უკანასკნელ დღეს.

ველომარბიელთა ამ ტრადიციულ ასპარეზობაში მონაწილეობდნენ, „ისკრის“, განათლების სამინისტროს, „დინამოს“, „ლოკომოტივის“, „ბურევესტნიკის“, „მედიკის“, „სპარტაკის“ წარმომადგენლები, აფხაზეთისა და აჭარის უძლიერესი ველომარბიელები.

4-დღიანი დაძაბული ბრძოლის შედეგად პირველი გუნდური ადგილი მოიპოვა „ისკრის“, მეორე — განათლების სამინისტროს, მესამე — „დინამოს“ წარმომადგენლებმა.

სპორტულად საინტერესო ბრძოლა გაიმართა ვაჟთა შორის სპრინტერულ რბოლაში 1 კილომეტრზე. აქ გამარჯვება წილად ხვდა ო. დადუნაშვილს („ბურევესტნიკი“). ქალთა შორის ამ სახეში გაიმარჯვა დინამოელმა ი. სოლოვიოვამ.

საქართველოს ჩემპიონის წოდება სალიდერო რბოლაში 25 კილომეტრზე მოიპოვა გამოცდილმა დინამოელმა ა. გუნიამ (ლიდერი გ. ლეჟავა) — 28:16,8. მხოლოდ ორი წამით ჩამორჩა მას ვ. ჯონჯოლიანი (ლიდერი ა. ხაბურზანია). გუნდური პირველობა ამ სახეში მოიპოვა „დინამომ“.

გუნდურ რბოლაში 4 კილომეტრზე შესანიშნავი წარმატება ხვდათ წილად „ისკრის“ ველომარბიელებს (ვ. ჯონჯოლიანი, გ. ჯოხაძე, ს. შიხმანი და უ. გელიაშვილი). მათ დაამყარეს ახალი რესპუბლიკური რეკორდი — 5:25,7. საქართველოს ახალი რეკორდით (4:45,8) აღინიშნა აგრეთვე ქალთა გუნდური რბოლა 3 კილომეტრზე. იგი დაამყარა „ისკრის“ კოლექტივმა (ა. ვასილიევა, ნ. მეტრეველი, მ. სამოდუროვა, ქ. დივაევა).

შეჯიბრების მსვლელობაში გაუმჯობესებულ იქნა კიდევ რამდენიმე რესპუბლიკური რეკორდი. ე. ჯიმშელეიშვილმა 1.000 მეტრზე ადგილიდან სვლაში აჩვენა 1:17,0 (ძველი რეკორდი — 1:21,0 — ეკუთვნოდა ო. დადუნაშვილს).

ორი ახალი რესპუბლიკური რეკორდი გოგონებისათვის დაამყარა ქ. თოფურიძემ გიტში 500 მეტრზე ადგილიდან (45,1) და 200 მეტრზე სვლით (15,0). ი. სოლოვიოვამ გააუმჯობესა გოგონათა რესპუბლიკური რეკორდი 500 მეტრზე სვლით (40,8).

ახალი რესპუბლიკური რეკორდით (57:01,8) აღინიშნა სალიდერო რბოლა 50 კილომეტრზე. იგი დაამყარა ა. გუნიამ, რომელსაც ლიდერობდა გ. ლეჟავა.

რა დაგვანახა ჩატარებულმა პირველობამ?

უპირველეს ყოვლისა, გასულ წელთან შედარებით მონაწილეთა უკეთესი მომზადება. გაზაფხულის განმავლობაში ჩატარებულმა ნაყოფიერმა სასწავლო-სპორტულმა მუშაობამ თავისი შედეგი გამოიღო. საგრძნობლად გაიზარდა წამყვან ველომარბიელთა ტექნიკურ-ტაქტიკური დონე.

სასიხარულოა განათლების სამინისტროს ნაკრები გუნდის ესოდენ დიდი წარმატება. მაღალმა დისციპლინამ, კოლექტიურობამ და გამარჯვებისადმი მტკიცე სწრაფვამ ამ ახალგაზრდულ კოლექტივს მოწინავეთა რიგებში ჩადგომის საშუალება მისცა.

შეჯიბრებამ დაგვანახა, რომ კვლავინდებურად ჩამორჩენილია ველოსპორტში ქალთა მასობრივად ჩაბმის საქმე.

თბილისის ველოტრეკის ხელმძღვანელობა მოუმზადებელი შეხვდა ამ საპასუხისმგებლო შეჯიბრებას. მონაწილეთათვის არ იყო შხაპი, საკმარისი რაოდენობით არ იყო სპეციალური სადგომები ველოსიპედებისათვის, სათანადო დონეზე არ იდგა მაყურებელთა მომსახურება.

შეჯიბრება (მთავარი მსაჯი ი. ყანჩელი) ჩატარდა ორგანიზებულად.

ნ. გუგუშვილი

ახალი სტადიონის მშენებლობაზე

ქუთაისი. ახალი სტადიონის მშენებლობის დამთავრებას უდიდესი ინტერესით მოელიან ქალაქის ფიზკულტურელები და სპორტსმენები. სტადიონი 20.000 მაყურებელს დაიტევს. მას ექნება კეთილმოწყობილი სპორტული მოედნები, სარბენი ბილიკი, მძლეოსნობის სექტორები და სხვ.

სტადიონის მშენებლობის ძირითადი სამუშაოების შესრულებაში აქტიურად მონაწილეობენ პედინსტიტუტის, არტელების „შრომისა“ და „ინშრომის“ კომკავშირელები და ფიზკულტურელები. აბრეშუმკომბინატის, მაუდის ფაბრიკისა და ლიტოპონის ქარხნის ფიზკულტურელები ხშირად მართავენ შაბათობებს.

მ. კაკიტელაშვილი

საფაბრიკო-საქარხნო სპარტაკიადა

დიდი ინტერესით მიმდინარეობს თბილისის XIII საფაბრიკო-საქარხნო სპარტაკიადა, რომელშიც მონაწილეობს 24 ქარხნისა და ფაბრიკის ფიზკულტურული კოლექტივი.

მუშა ახალგაზრდობის ეს ტრადიციული ასპარეზობა ტარდება მძლეოსნობაში, ცურვაში, ქართულ ჭიდაობაში, მაგიდის ჩოგბურთში, კალათბურთში, ფრენბურთში, ჭადრაკსა და შაშში, მცირეკალიბრიანი შაშხანიდან სროლაში.

უკვე დამთავრდა შეჯიბრება რამდენიმე სახეში. ცურვაში საუკეთესო შედეგები აჩვენეს 26 კომისრის სახელობის რაიონის მუშა ახალგაზრდობამ და თბილისის სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატის სპორტსმენებმა.

100 და 200 მეტრზე თავისუფალ სტილით ცურვაში ქალთა შორის პირველობა რ. ნეხოტინამ მოიპოვა, ხოლო ვაჟთა შორის — ინჟინერ-ტექნოლოგმა ვ. აბრამენკომ. ორივე სპორტსმენმა II თანრიგის ნორმატივები შეასრულა. ამხანაცურვაში 4×50 მ. და 4×100 მ. გაიმარჯვეს ამავე კოლექტივების ქალთა და ვაჟთა გუნდებმა.

საერთო პირველი ადგილი ცურვაში მოიპოვეს 26 კომისრის რაიონის წარმომადგენლებმა.

სპარტაკიადა დამთავრდება 29 ივლისს.

პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციების დახმარებით

გალის რაიონის სოფელ ზემო ბარღებში ფიზკულტურული მუშაობა ჩაშლილი იყო, რის გამოც ახალგაზრდობა კანონიერ უკმაყოფილებას გამოთქვამდა.

მუშაობის გაუმჯობესებისათვის ადგილობრივმა პარტიულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა გადამჭრელი ზომები მიიღეს. ამ საკითხით დაინტერესდა სასოფლო საბჭოს ალმასკომის თავმჯდომარეც, ახალგაზრდა კომუნისტი ვ. მარღანია, რომელიც სოფელში საუკეთესო სპორტსმენად ითვლება. მან პირადად იკისრა ძირეული ფიზკულტურული კოლექტივის სექციების ხელმძღვანელობა და სულ მალე სასოფლო კლუბთან გაიშალა ფიზკულტურული მუშაობა: ჩამოყალიბდა და სისტემატური წვრთნა დაიწყეს ფრენბურთის და ფეხბურთის გუნდებმა.

სპორტის მოყვარულ ახალგაზრდობის ძალებით მოკლე ხანში გაშენდა ფიზკულტურული მოედანი, რომელზეც ხშირად ნახავთ მძლეოსნებს ვ. შამუგიას, გ. ჯალაღანიას, ვ. ჩემინავას, ფრენბურთელებს ვ. შენგელიას, ა. ჯალაღანიას, ა. შამუგიას და სხვებს.

ნაყოფიერმა წვრთნამ მალე შედეგიც გამოიღო. ზემო ბარღებელმა ფეხბურთელებმა ამ დღეებში მოუგეს თამაში ოქუმულ და ჭუბურხინჯელ ფიზკულტურელებს.

ნ. მიქაშავიძე

სოფ. ზემო ბარღები
გალის რაიონი.

მასწავლებელთა ახალი კადრი

1947 წელს ბათუმის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში შეიქმნა ფიზიკური აღზრდისა და სპორტის ფაკულტეტი, რომელიც დაკომპლექტდა გამოცდილი და მაღალკვალიფიციური სპეციალისტებით.

ფაკულტეტი ენერგიულ და გეგმაზომიერ მუშაობას ეწევა ფიზკულტურის მომავალ მასწავლებელთა აღსაზრდელად; წელს მან რესპუბლიკას 24 მაღალკვალიფიციური სპეციალისტი მისცა. მათ შორის აღსანიშნავი არიან ი. ჭანტურიშვილი, ს. ქარჩავა, ლ. გოგიბერიძე, ლ. ცქიტიშვილი, მ. კალანდაძე, ს. მამუკაძე, შ. კილურაძე, გ. მჟავია და სხვ.

მომავალი 1951-52 სასწავლო წლიდან ინსტიტუტის კურსდამთავრებულნი მუშაობას შეუდგებიან აჭარის სკოლებში.

გ. ლეჟავა,
ბათუმის რუსთაველის სახ. პედინსტიტუტის ფიზაღზრდის კათედრის უფროსი მასწავლებელი.

„ლელოს“ შემდეგი, სპეციალური ნომერი გამოვა ფიზკულტურელის საკავშირო დღეს — 22 ივლისს.

14 ეროვნული რეკორდი

მოსკოვი. (ჩვენი კორ.). 14, 15 და 16 ივლისს დედაქალაქის „დინამოს" ცენტრალურ სტადიონზე მიმდინარეობდა საერთაშორისო ამხანაგური შეჯიბრება მძლეოსნობაში, რომელშიც მონაწილეობდნენ საბჭოთა კავშირის, პოლონეთის რესპუბლიკისა და რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის ნაკრები გუნდები.

შეჯიბრება დაიწყო 100 მეტრზე რბენით. ქალთა შორის დისტანცია პირველმა დაფარა ს. მალშინამ (12,3 წამი). პოლონელმა მორბენალმა ქალმა ი. კუზმიცკამ დაიკავა მესამე ადგილი (12,5). ვაჟთა შორისაც ამ დისტანციაზე გამარჯვება წილად ხვდა საბჭოთა მძლეოსანს ვ. სუხარევს — 10,6 წამი. ფინიშთან მეორე მივიდა პოლონელი სპორტსმენი ე. კიმჯა (10,7), მესამე — ლ. სანაძე (10,8). რუმინელმა მძლეოსანმა ა. სტოენესკუმ უჩვენა 11 წამი.

პირველ დღეს გაიმართა აგრეთვე 400 მეტრზე რბენა ვაჟთა შორის, თარჯრბენი 110 მეტრზე, ვაჟთა და ქალთა ამანათრბენი 4×100 მ., რბენა 5.000 მეტრზე და სხვ.

საბჭოთა სპორტსმენებმა დაძაბულ სპორტულ ბრძოლაში საუკეთესო შედეგებს მიაღწიეს მძლეოსნობის ყველა სახეში, რომლებიც შედიოდა შეჯიბრების პირველი დღის პროგრამაში.

110 მეტრზე თარჯრბენში რუმინელმა სპორტსმენმა ი. ობრიშმა, რომელმაც მეორე ადგილი დაიკავა, გააუმჯობესა თავისი ქვეყნის ეროვნული რეკორდი. გამორბენით სიმაღლეზე ხტომაში შეჯიბრების ყველაზე ახალგაზრდა მონაწილემ, 14 წლის რუმინელმა სპორტსმენმა იოლადა ბალაშმა მესამე ადგილი დაიკავა; მან დასძლია 1,45 მეტრი სიმაღლე.

შეჯიბრების მეორე დღე აღინიშნა მთელი რიგი ახალი მიღწევებით. ამ დღეს დამყარებულ იქნა საბჭოთა კავშირის 5 რეკორდი, პოლონეთის 2 რეკორდი და რუმინეთის 3 რეკორდი.

მრავალრიცხოვან მაყურებელთა დიდი ინტერესი გამოიწვია ქალთა შეჯიბრებამ 400 მეტრზე რბენაში. ბრწყინვალე წარმატებას მიაღწია საბჭოთა სპორტსმენმა ზოია პეტროვამ, რომელმაც დისტანცია 56 წამში დაფარა. ასეთი შედეგი დღემდე არ ჰქონია მსოფლიოს არც ერთ სპორტსმენ ქალს. პოლონელმა მ. პიჯოვარმა, რომელმაც ეს დისტანცია 60,6 წამში დაფარა, დაამყარა თავისი

◎

სსრ კავშირის, პოლონეთისა და რუმინეთის მძლეოსანთა საერთაშორისო ამხანაგური შეჯიბრება

◎

ქვეყნის ეროვნული რეკორდი. ახალი ეროვნული რეკორდი დაამყარა ამ დისტანციაზე აგრეთვე რუმინელმა ვ. ტრეიბალმა — 60,9 წამი.

ვ. სუხარევმა 200 მეტრზე რბენაში უჩვენა საერთაშორისო კლასის შედეგი — 21,2 წამი და 0,2 წამით გააუმჯობესა თავისივე საკავშირო რეკორდი, რომელიც მან ა. წ. 10 ივლისს დაამყარა. ამ დისტანციაზე ქალთა შორის პირველი იყო საბჭოთა მძლეოსანი ზ. საფრონოვა — 24,9 წამი. რუმინეთის წარმომადგენელმა კ. რუსემ, რომელმაც მეოთხე ადგილი დაიკავა, დაამყარა ახალი ეროვნული რეკორდი — 26,2 წამი.

400 მეტრზე თარჯრბენში ი. ლიტუევმა (სსრკ) 0,2 წამით გააუმჯობესა წინანდელი საკავშირო რეკორდი. ახალი რეკორდი უდრის 52,2 წამს. ახალი საკავშირო რეკორდი დაამყარა აგრეთვე პ. ხევგუნმა 800 მეტრზე რბენაში — 1:51,0. ამ დისტანციაზე მეორე ადგილი ერგო გ. მოდოის, რომლის შედეგიც სჯარბობს წინანდელ საკავშირო რეკორდს. მესამე ადგილზე გამოსულმა პოლონელმა სპორტსმენმა ე. პოტშებოვსკიმ გააუმჯობესა თავისი ქვეყნის რეკორდი, რომელიც 16 წლის წინათ იყო დამყარებული. მისი შედეგია 1:51,5.

საბჭოთა სპორტსმენმა გ. ერიუხინამ პირველი ადგილი მოიპოვა 80 მეტრზე თარჯრბენში — 11,5. მეორე ადგილზე, ასეთივე შედეგით, გამოვიდა ე. გოკიელი. პოლონელმა სპორტსმენმა ი. გოსტინიაკმა დისტანცია დაამთავრა 12,3 წამში.

პოლონელმა სპორტსმენმა ი. სიდლომ პირველი ადგილი მოიგო ვაჟთა შორის შუბის ტყორცნაში (64,28 მეტრი), მეორე ადგილი ერგო ვ. ციბულენკოს (სსრ კავშირი).

საბჭოთა სპორტსმენმა ვაჟებმა გაიმარჯვეს ბადროს ტყორცნაში, გამორბენით სამმაგ ხტომაში, ჭოკით ხტომაში, ქალებმა კი — ბირთვის კვრაში, შუბის ტყორცნასა და გამორბენით სიგრძეზე ხტომაში.

შეჯიბრების უკანასკნელ დღეს გაიმართა სხვადასხვა დისტანციაზე რბენა, გამორბენით სიმაღლეზე და სიგრძეზე ხტომები, ბადროსა და უროს ტყორცნა.

დაძაბული სპორტული ბრძოლით აღინიშნა შეჯიბრებები ამანათრბენში ქალთათვის 4×200 მ. და ვაჟთათვის — 4×400 მ. ორივე ამანათრბენში პირველი ადგილები ერგოთ საბჭოთა კავშირის წარმომადგენლებს. შესანიშნავ წარმატებებს მიაღწიეს ამანათრბენებში რუმინეთის ქალთა და ვაჟთა გუნდებმა, რომელთაც ახალი ეროვნული რეკორდები დაამყარეს.

საბჭოთა სპორტსმენების გამარჯვებით დამთავრდა შეხვედრები 1.500 და 10.000 მეტრზე რბენაში ვაჟთათვის და 800 მეტრზე რბენაში ქალთა შორის. ბადროს ტყორცნაში ქალთა შორის პირველი ადგილი დაიკავა ნ. დუმბაძემ, ხოლო უროს ტყორცნაში ვაჟთა შორის — საბჭოთა სპორტსმენმა ნ. შორინმა.

მაყურებელთა დიდი ინტერესი გამოიწვია სამი ქვეყნის სპორტსმენთა შეხვედრებმა გამორბენით სიგრძეზე და სიმაღლეზე ხტომებში. რუმინეთის რეკორდსმენმა ი. სეტერმა პირველი ადგილი მოიპოვა გამორბენით სიმაღლეზე ხტომაში, მისი შედეგია 1,96 მეტრი. სიგრძეზე ხტომაშიც პირველობა რუმინეთის წარმომადგენელს ერგო: ი. ვიზენმაიერი გადახტა 7,09 მეტრზე. ასეთივე შედეგს მიაღწია საბჭოთა სპორტსმენმა ვ. კოტენკოვმა, რომელიც შეჯიბრებაში კონკურსსგარეშე მონაწილეობდა. მეორე ადგილი ერგო პოლონეთის წარმომადგენელს ც ადამჩუკს (7,06 მ.).

შეჯიბრება დამთავრდა სსრ კავშირის ნაკრები გუნდის გამარჯვებით, რომელმაც მოაგროვა 373½ ქულა. მეორე ადგილზე გამოვიდა პოლონეთის ნაკრები — 210½ ქულა. რუმინეთის ნაკრებმა გუნდმა მოაგროვა 160 ქულა.

შეჯიბრებაზე, რომლის პროგრამაში იყო მძლეოსნობის 32 სახე, დამყარებულ იქნა 14 ახალი ეროვნული რეკორდი, მათ შორის 5 საბჭოთა კავშირისა, 7 რუმინეთისა და 2 პოლონეთის რესპუბლიკისა.

საბჭოთა კავშირის, პოლონეთისა და რუმინეთის მძლეოსანთა შეხვედრები ჩატარდა გულთბილ, მეგობრულ ვითარებაში. სამი ქვეყნის მძლეოსანთა ამხანაგური შეხვედრები საბჭოთა კავშირის, პოლონეთის რესპუბლიკისა და რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის სპორტსმენთა ურღვევი მეგობრობის დადასტურებაა.

სპორტის ოსტატის ტრიბუნა

წუთშესვენების გამოყენება კალათბურთში

არსებული წესების თანახმად კალათბურთის მატჩის პროცესში ყოველ გუნდს უფლება აქვს აიღოს ოთხი წუთშესვენება („ტაიმ-აუტი"). წუთშესვენებას იღებს გუნდის კაპიტანი ან მწვრთნელი. ბოლო წლების პრაქტიკამ ნათლად დაგვანახა წუთშესვენების განუზომლად დიდი მნიშვნელობა.

რა შემთხვევაში და რა მიზნით ხდება წუთშესვენების აღება?

1. წუთშესვენება საჭიროა მაშინ, როდესაც თამაშის მსვლელობაში გუნდს დაღლილობა ეტყობა და დასვენებას საჭიროებს. ხშირად, მოთამაშეები და მათი კაპიტანი ამ დაღლილობას ვერ ამჩნევენ. მწვრთნელისათვის კი, რომელიც გარედან უყურებს თამაშს, ეს ადვილი შესამჩნევია: ნელდება თამაშის ტემპი, კალათბურთელები მოგვიანებით გადადიან დაცვიდან თავდასხმაზე და პირიქით, ზანტად გაითამაშებენ კომბინაციებს და სხვ.

ასეთ შემთხვევაში წუთშესვენება გუნდს ძალების მოკრების, მობილიზაციის შესაძლებლობას მისცემს.

2. წუთშესვენება ასაღებია მაშინ, როდესაც თამაშის პროცესში მოთამაშეთა შეცვლა ხდება. თუ თავის ან მოწინააღმდეგე გუნდში შეიცვალა ერთი მოთამაშე, წუთშესვენება შეიძლება არც იყოს საჭირო, მაგრამ თუ შეიცვალა ერთზე მეტი მოთამაშე, წუთშესვენება აუცილებელია, რათა სპორტსმენებმა მოილაპარაკონ მოწინააღმდეგე გუნდის სპორტსმენთა განაწილებაზე (ვინ რომელი კალათბურთელი უნდა „დაიჭიროს").

3. წუთშესვენება გუნდმა უნდა აიღოს მაშინ, როდესაც შეხვედრის მსვლელობა თამაშის ხასიათის, ტაქტიკის გადახალისებას მოითხოვს. მაგალითად, კოლექტივი იყენებს ზონური დაცვის სისტემას. შეხვედრის მსვლელობაში ირკვევა, რომ მოწინააღმდეგეთა რიგებში არის ისეთი მოთამაშე, რომელიც შორ მანძილიდან კარგად ახერხებს კალათში ტყორცნას. შექმნილი მდგომარეობა მოითხოვს დაცვის თამაშის ტაქტიკის გადახალისებას და მოწინააღმდეგე კალათბურთელების პირად დაცვაზე გადასვლას (მოთამაშეთა განაწილებით).

4. ხშირია შემთხვევები, როდესაც მოწინააღმდეგე გუნდი უმატებს თამაშის ტემპს, გაახშირებს იერიშებს და აძლიერებს კალათზე შეტევას. ამის საპასუხოდ, ის გუნდი, რომელიც იძულებულია დაცვაზე იზრუნოს, იღებს წუთშესვენებას. ამას მეტწილად მოჰყვება დაცვის რიგების განმტკიცება, მოწინააღმდეგე გუნდი კი ჰკარგავს ტემპს, მისი იერიშებისა და შეტევის „სიმხურვალე" ცხრება.

5. მოწინააღმდეგის მიერ მატჩში რაიმე მოულოდნელი ტაქტიკური ხერხის გამოყენება გუნდის რიგებში ხშირად არეულობასა და დაბნეულობას იწვევს. ასეთ შემთხვევაში აღებული წუთშესვენება გუნდს შესაძლებლობას მისცემს აწონ-დაწონოს შექმნილი მდგომარეობა, განამტკიცოს თავისი რიგები, შეარჩიოს და დაუპირისპიროს მოწინააღმდეგის ტაქტიკას სათანადო საშუალებები.

6. მატჩის გადამწყვეტ მომენტში, მით უფრო თამაშის ბოლოში, როდესაც დაძაბულ ბრძოლაში გუნდი ამარცხებს მოწინააღმდეგეს ან ანგარიშში ეწევა მას და ეს განსხვავება მხოლოდ რამდენიმე ქულით გამოიხატება, ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს დარჩენილი დროის და ანგარიშის ზუსტ გარკვევას. გუნდი ყოველივე ამას მოკლებულია, თუ მოედანს არ გააჩნია სათანადო საათი და საანგარიშო დაფა.

ასეთ მომენტში აღებული წუთშესვენება გუნდს საშუალებას მისცემს მსაჯის მეშვეობით გაიგოს ანგარიში და თამაშის დამთავრებამდე დარჩენილი დრო (მსაჯი წუთშესვენების დროს ვალდებულია გააკეთოს ეს).

7. ხშირად, მატჩის მიწურულში გუნდი მოწინააღმდეგეზე მხოლოდ 1 ან 2 ქულით არის წინ და მისი რომელიმე მოთამაშის მიერ დაშვებული შეცდომის ან წესის დარღვევის შედეგად ბურთი გადის მოედნის ფარგლებიდან. თუ ეს თავდასხმის მომენტში მოხდა, გუნდს თავისი კალათის დაცვა უძნელდება, რითაც სარგებლობს მოწინააღმდეგე, სწრაფად შემოაქვს თამაშში ბურთი, ატარებს სწრაფ იერიშს და სასურველ შედეგსაც აღწევს. დროულად, ე. ი. ბურთის თამაშიდან გასვლის მომენტში აღებული წუთშესვენება გუნდს დაცვაში გადასვლის შესაძლებლობას, დაცვის რიგების განმტკიცების საშუალებას მისცემს.

ამგვარ მომენტებში ძალიან დიდ როლს თამაშობს მწვრთნელის სიფხიზლე.

8. შეხვედრის მსვლელობაში შეცვლის შედეგად თამაშში შეყვანილი მოთამაშის მეშვეობით მწვრთნელს შეუძლია გუნდს გადასცეს თავისი რჩევა-დარიგება ამა თუ იმ საკითხზე, უფრო ხშირად მატჩის შემდგომი გაგრძელების შესახებ. ამისათვის საჭიროა მოთამაშის შეცვლისთანავე წუთშესვენების აღება.

ცხადია, წუთშესვენების გამოყენება არ ამოიწურება მხოლოდ ზემოჩამოთვლილი შემთხვევებით, მაგრამ ჩვენ გვგონია, რომ ფიზკულტურის მასწავლებლების, მწვრთნელებისა და სპორტსმენთა ფართო მასების გაცნობა წუთშესვენების გამოყენებასთან, დაეხმარება მათ კალათბურთის ტაქტიკური ხერხების გაფართოებაში და მის პრაქტიკულ განხორციელებაში.

ა. წერეთელი,
სპორტის დამსახურებული ოსტატი.

ჭაბუკი მოკრივეები

გაიმართა საქართველოს პირადგუნდური პირველობის გათამაშება კრივში ჭაბუკთა შორის. მონაწილეობდნენ განათლების სამინისტროს, პროფკავშირების, „შრომითი რეზერვების", „სპარტაკისა" და „დინამოს" ნაკრები გუნდები.

გუნდური პირველი ადგილი მოიპოვეს პროფკავშირების მოკრივეებმა, რომლებმაც 6 პირადი პირველი ადგილი დაიკავეს. პროფკავშირების მოკრივეთა წარმატება გუნდის მწვრთნელის სპორტის ოსტატ ბ. კალაძის დაუღალავ და ნაყოფიერ მუშაობას უნდა მიეწეროს.

რესპუბლიკის ჩემპიონის წოდება თავიანთ წონით კატეგორიებში მოიპოვეს თ. ტატანაშვილმა, პ. ლომიძემ (ორივე „შრომითი რეზერვები"), პროფკავშირების წარმომადგენლებმა გ. შამიროვმა, თ. კუპავამ, რ. ციციაშვილმა, გ. დარბაისელმა, თ. მიქაელიანმა, ნ. აუშტროვმა და სპარტაკელმა ფ. ეფრემაშვილმა.

მზარდი ოსტატობა

◆

საქართველოს მოსწავლეთა IV სპარტაკიადა

◆

დამთავრდა მოსწავლეთა IV რესპუბლიკური სპარტაკიადა. თუ განვიხილავთ მძლეოსნობის, ტანვარჯიშის, ცურვის, ჩოგბურთისა და შაშის შედეგებს, თამამად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მოსწავლე სპორტსმენები შეუნელებლად მიდიან შემდგომი დაოსტატების გზით, დაულალავი და რეგულარული მეცადინეობის შედეგად აღწევენ ახალ წარმატებებს.

შესამჩნევად იქნა განახლებული მოზარდ მძლეოსანთა რესპუბლიკური რეკორდების ცხრილი. 4 დღის განმავლობაში დამყარებულ იქნა 6 ახალი რეკორდი: ბირთვის კვრა — მ. გეგეშიძე (თბილისი, 17-18 წ. ჭაბუკები) — 13,20 მეტრი; შუბის ტყორცნა — ო. გოგაური (თბილისი, 15-16 წ. ჭაბუკები) — 47,68 მეტრი; ყუმბარის ტყორცნა — ი. წეროდიანი (ზემო სვანეთი, 17-18 წ. ჭაბუკები) — 71,82 მეტრი; ბადროს ტყორცნა — ლ. სესაძე (თბილისი, 15-16 წ. გოგონები) — 31,45 მეტრი; რბენა 1.500 მეტრზე — ი. ვოლობუევი (ბათუმი, 17-18 წ. ჭაბუკები) — 4:20,0, თარჯრბენი 80 მეტრზე — ჯ. ოდილავაძე (თბილისი, 15-16 წ. გოგონები) — 13,0.

გუნდურ ჩათვლაში I ჯგუფში გაიმარჯვა თბილისის კოლექტივმა, მომდევნო ადგილები დაიკავეს აფხაზეთის, ქუთაისის, აჭარის და სამხრეთ ოსეთის წარმომადგენლებმა. II ჯგუფში ყველას აჯობა თეთრი წყაროს გუნდმა, მესამეში — ორჯონიკიძის (ყოფ. ხარაგოულის) რაიონის, ხოლო მეოთხეში — ახალციხის რაიონის მძლეოსნებმა.

სასიხარულოა ის, რომ რაიონების მძლეოსნებმა მნიშვნელოვნად აამაღლეს ტექნიკური მომზადების დონე, გამარჯვებულთა და რეკორდსმენთა შორის ვხვდებით ახალ სახელებს — რაიონთა წარმომადგენლებს.

თუ ვიმსჯელებთ მძლეოსანთა საერთო დონეზე, ჩამორჩენა გვაქვს ტყორცნებში. სტაიერულ მანძილებზე რბენაში, სამმაგ და ჭოკით ხტომაში; ნაკლებადაა კულტივირებული სპორტული სიარული. ამავე დროს უნდა აღინიშნოს მთელი რიგი რაიონების სუსტი მუშაობა მძლეოსნობაში. არც ერთი ქულა არ დაუგროვებიათ მაგალითად, გორის, გეგეჭკორის, ცაგერის, ქუთაისის რაიონის, ახაშის, ზუგდიდის და ზესტაფონის მძლეოსნებს, სრულიად არ ღებულობდნენ მონაწილეობას შეჯიბრებაში მახარაძისა და ახალქალაქის რაიონების მძლეოსნები.

ტანმოვარჯიშეთა შეჯიბრებაში, უპირველეს ყოვლისა, თვალში გვცემ მათ რაიონების სპორტსმენთა ჩინებული მომზადება, განსაკუთრებით II და III თანრიგებში.

I თანრიგში ჭაბუკთა შორის ადგილები ასე განაწილდა: ჯ. მოლალურაძე — 105,9 ქულა, ნ. კანდელაკი — 105,6 ქულა (ორივე თბილისი) და ვ. ცვეტკოვი (აფხაზეთი) — 105,3 ქულა. გოგონებს შორის პირველი სამი ადგილი თბილისის წარმომადგენლებმა მოიპოვეს: ლ. გელუკაშვილმა (114,8), ვ. კლიმოვამ (113,55) და ნ. კესოევამ (113,5).

საინტერესო იყო ნორჩ აკრობატთა შეჯიბრება.

გუნდური ადგილები ტანვარჯიშში ასე განაწილდა: თბილისი, ქუთაისი, აფხაზეთი, აჭარა, სამხრეთ ოსეთი. II ჯგუფში დიდი უპირატესობით გაიმარჯვეს ონის კარგად მომზადებულმა ტანმოვარჯიშეებმა (მწვრთნელი თ. ჯაფარიძე). მეორე ადგილზე გავიდნენ ფოთის, ხოლო მესამეზე — გორის წარმომადგენლები.

წარმატებად უნდა ჩაითვალოს ის, რომ მონაწილეთა შორის საგრძნობი ნაწილი გამოდიოდა I და II თანრიგებში: I თანრიგში მონაწილეობდა 11 ჭაბუკი და 38 გოგონა, II თანრიგში — 29 ჭაბუკი და 33 გოგონა.

კარგად მომზადებული კოლექტივები გამოიყვანეს ონის, ორჯონიკიძის, ლანჩხუთის, ახალციხის რაიონებმა. აღსანიშნავია სამხრეთ ოსეთის ტანმოვარჯიშე გოგონათა წარმატება (მეორე ადგილი), მაგრამ ჭაბუკთა სუსტმა გუნდმა სამხრეთ ოსეთის კოლექტივი ბოლო ადგილზე გადაიყვანა.

ჩოგბურთელთა ასპარეზობაში, როგორც მოსალოდნელი იყო, გაიმარჯვეს თბილისელებმა. შესანიშნავ წარმატებას მიაღწია ქუთაისის გუნდმა, რომელმაც გაუსწრო ისეთ ძლიერ მეტოქეს, როგორიც აფხაზეთის კოლექტივია. ქუთაისელთა შორის აღსანიშნავია ბ. ნაცვლიშვილისა და ც. მეჩენეიშვილის თამაში.

ახალი შესწორებები შეიტანეს რეკორდების ცხრილში ნორჩმა მოცურავეებმა — სპარტაკიადაზე დამყარებულ იქნა 7 რეკორდი. თბილისელმა ქ. ავანესიანმა ნებისმიერი სტილით 400 მეტრი გასცურა 5:33,2, ხოლო 100 მეტრი გვერდზე 1:17,1; ა. ქურილოვამ (თბილისი) 200 მეტრი ზურგზე გასცურა 3:14,8.

განახლდა რეკორდები ამანათცურვაშიც. თბილისის ჭაბუკთა ნაკრებმა კომბინირებულ ამანათცურვაში 3×100 მ. (ი. ფილიპოვი, ვ. ჩერნიშოვი, ქ. ავანესიანი) აჩვენა 4:09,7; თბილისელებმა ი. სიხარულიძემ, ქ. ავანესიანმა, ტ. კუხიანიძემ და ვ. ბართაევმა დისტანციაზე 4×100 მ. ნებისმიერი სტილით აჩვენეს 4:52,0.

სოხუმის გოგონათა ნაკრებმა ახალი რეკორდი დაამყარა ამანათცურვაში 4×100 მ. ნებისმიერი სტილით — 6:19,2. ბათუმის ჭაბუკთა გუნდმა ბატერფლაით 4×100 მ. აჩვენა 6:15,2.

გუნდურ ჩათვლაში პირველ ადგილზე გავიდა თბილისი, მეორეზე — ბათუმი, მესამეზე — სოხუმი, მეოთხეზე — ფოთი.

შეჯიბრებამ გვიჩვენა მხტომელთა სუსტი მომზადება. გარდა ამისა, ძალზე მცირეა მათი რიცხვი; მაგალითად, გოგონათა შორის ტრამპლინიდან და კოშკიდან მხოლოდ 2 მხტომელი იყო.

შაშისტთა ძლიერი კოლექტივი გამოიყვანა შეჯიბრებაზე ფოთმა (გუნდის შემადგენლობა: ბარამიძე, სმოლინი, ჯალაღანია). ფოთელმა შაშისტებმა ძლიერად ჩაატარეს ყველა შეხვედრა და დამსახურებულად მოიპოვეს საერთო პირველი ადგილი.

ამრიგად, დედაქალაქში ჩატარებული 5 სახიდან ოთხში გამარჯვება თბილისელებმა მოიპოვეს, ერთში კი — ფოთელებმა.

• • •

შემდეგ ნომერში გამოქვეყნდება ბათუმში ჩატარებული შეჯიბრების (კალათბურთი, ფრენბურთი) შედეგები.

ლ. ფალავანდიშვილი,
სპორტის დამსახურებული ოსტატი.

ბ. ქორქია

სურათებზე: მარცხნივ — 200 მეტრზე რბენის მომენტი; მარჯვნივ — დინამოელი ვ. კაზანცევი დაბრკოლებებით 3.000 მეტრზე რბენის დისტანციაზე. ფოტო ლ. დორენსკისა (საკდეს).

ფიზკულტურელის დღის შესახვედრად

საბჭოთა მძლეოსნების მაღალი შედეგები

საბჭოთა სპორტსმენები ახალ-ახალი მიღწევებით ეგებებიან თავიანთ ტრადიციულ დღესასწაულს — ფიზკულტურელის საკავშირო დღეს.

მაღალი სპორტული შედეგებით აღინიშნა ჩვენი ქვეყნის უძლიერეს მძლეოსანთა შეჯიბრება, რომელიც 10 ივლისს მოსკოვის „დინამოს" სტადიონზე გაიმართა. როგორც ვიუწყებოდით, ამ შეჯიბრებაზე ახალი მსოფლიო რეკორდი დაბრკოლებებით 3.000 მეტრზე რბენაში დაამყარა დინამოელმა ვ. კაზანცევმა — 8:49,8.

არანაკლები წარმატება ხვდა სსრ კავშირის ნაკრებს ქალთა ამანათრბენში 3×800 მ. როგორც ცნობილია, მსოფლიო რეკორდი ეკუთვნოდათ საბჭოთა სპორტსმენებს, რომლებმაც შარშან ე. ვასილიევას, ნ. კაბიშის და ლ. ხოკოლოვას შემადგენლობით უჩვენეს 6:49,6. ამჯერად, სსრ კავშირის პირველმა ნაკრებმა კ. დმიტრუკის (ტულა, „ისკრა"), პ. სოლოპოვას (ლენინგრადი, „ბურევესტნიკი") და ვ. პომოგაევას (მოსკოვი, „დინამო") შემადგენლობით ამანათრბენი 3×800 მ. დაამთავრა 6 წუთსა და 44,8 წამში და 4,8 წამით გააუმჯობესა მსოფლიო რეკორდი.

ამ შეჯიბრებაზე სპორტის ოსტატმა ვ. სუხარევმა („დინამო") გააუმჯობესა ერთერთი ყველაზე „ძველი" რეკორდი — 200 მეტრზე რბენაში. მან დისტანცია დაფარა 21,4 წამში. ეს შედეგი 0,2 წამით უკეთესია 15 წლის წინათ სპორტის დამსახურებულ ოსტატ რ. ლიულკოს მიერ დამყარებულ საკავშირო რეკორდზე.

ჩინებული შედეგებით აღინიშნა ვაჟთა ამანათრბენი 4×800 მ. სსრ კავშირის პირველმა ნაკრებმა თ. სუსლოვის, ს. არხაროვის (მოსკოვი), პ. ჩევგუნის (კიევი) და გ. მოდოის (მოსკოვი) შემადგენლობით 5 წამით გააუმჯობესა საკავშირო რეკორდი. ახალი რეკორდია 7:31,2. ეს შედეგი მხოლოდ 2,2 წამით იყო დაბალი მსოფლიო რეკორდზე (7:29,0), რომელიც დაამყარა შვეციის ნაკრებმა გუნდმა 1946 წელს. 12 ივლისს საბჭოთა მძლეოსნებმა სცადეს შვედების მსოფლიო რეკორდის გაუმჯობესება და ბრწყინვალე წარმატებასაც მიაღწიეს. შეჯიბრება გაიმართა სსრ კავშირის პირველ და მეორე ნაკრებ გუნდებს შორის. პირველმა ნაკრებმა ნ. ბელოკუროვის (დნეპროპეტროვსკი), ს. არხაროვის (მოსკოვი), პ. ჩევგუნის (კიევი) და გ. მოდოის (მოსკოვი) შემადგენლობით ამანათრბენში 4×800 მ. უჩვენა 7:27,4. ეს შედეგი 1,6 წამით უკეთესია შვეციის ნაკრები გუნდის მსოფლიო რეკორდზე.

შეჯიბრების მონაწილეებმა თავიანთი სპორტული მიღწევები მიუძღვნეს ფიზკულტურელის საკავშირო დღეს.

შეასრულეს სათანრიგო ნორმატივები

თბილისის მოსწავლეთა ცენტრალური სპორტული სკოლის ველოგანყოფილებამ მოაწყო შიდასაკოლექტივო შეჯიბრება, რომელშიც მონაწილეობდა 25 ველომარბიელი.

ვაჟთა გიტში 200 მეტრზე თანაბარი დრო — 13,0 წამი — აჩვენეს სპორტის ოსტატმა ე. ჯიმშელეიშვილმა და გ. თელიამ. სპრინტერულ რბოლაში 1000 მეტრზე გამარჯვება მოიპოვა ე. ჯიმშელეიშვილმა. მეორე ადგილზე გავიდა გ. თელია, მესამეზე — ვ. ქინქლაძე.

გოგონებს შორის 200 მეტრზე გიტში გაიმარჯვა ქ. თოფურიძემ (15,9 წამი). მანვე მოიპოვა პირველი ადგილი სპრინტში 1.000 მეტრზე. ფინიშთან მეორე იყო ე. ჰიჭინაძე, მესამე — ნ. რუდინა.

მეტად საინტერესო იყო გუნდური სვლა 4 კილომეტრზე. სპორტსკოლის ნაკრებმა კოლექტივმა ე. ჯიმშელეიშვილის, ვ. ქინქლაძის, გ. ცქიტიშვილისა და ვ. კიკოიანის შემადგენლობით მოუგო „ლოკომოტივის" გუნდს. გამარჯვებულთა შედეგია 5:37,8.

ჯგუფურ სვლაში (50 წრე 5 ფინიშით) გამარჯვება მოიპოვა ე. ჯიმშელეიშვილმა, რომელიც ოთხჯერ იყო ფინიშთან პირველი. ვ. ქინქლაძემ მოიგო ერთი ფინიში და მოიპოვა მეორე ადგილი.

შეჯიბრებაში გამოვარდნაზე გოგონებს შორის გაიმარჯვა ქ. თოფურიძემ.

ყველა ველომარბიელმა აჩვენა სათანრიგო შედეგი.

გამოქვეყნებული წერილების კვალდაკვალ

შეიქმნა ფიზკულტურის ძირეული კოლექტივები

ჩვენი გაზეთის მე-18 ნომერში გამოქვეყნდა პ. ახალაიას წერილი, რომელიც ეხებოდა ხობის რაიონის სოფ. საჯიჯაოს ლენინის სახელობის და სოფელ ახალი ხიბულის კიროვის სახელობის კოლმეურნეობებში ფიზკულტურული მუშაობის ჩაშლას.

როგორც ხობის რაიონის ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. წურწუმია გვატყობინებს, წერილში აღნიშნული ფაქტები დადასტურდა. ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად მიღებულია კონკრეტული ზომები. აღნიშნულ კოლმეურნეობებში შეიქმნა ძირეული ფიზკულტურული კოლექტივები. სოფ. საჯიჯაოს ლენინის სახელობის კოლმეურნეობასთან არსებული ფიზკულტურის კოლექტივი შეუდგა სპორტული მოედნის კეთილმოწყობას.

სსრ კავშირის XIII ჩემპიონატი

გათამაშების ცხრილი „ა" კლასი ძირითადი შემადგენლობები

მდგომარეობა 20 ივლისისათვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
ც დ ს ა	19	13	4	2	38:13	30
„დინამო" თბ.	19	11	4	4	41:19	26
„შახტიორი"	21	10	5	6	31:26	25
„დინამო" მ.	19	10	4	5	42:26	24
„კრ. სოვეტოვი"	18	7	8	3	21:13	22
„სპარტაკი" მ.	19	9	3	7	32:21	21
„დინამო" კ.	19	5	9	5	31:31	19
„ზენიტი"	18	6	6	6	24:25	18
ვ ვ ს	19	8	2	9	33:41	18
„ტორპედო" მ.	18	4	7	7	21:33	15
„დაუგავა"	19	5	4	10	34:36	14
ვ მ ს	18	4	6	8	18:32	14
„დინამო" ლ.	18	5	3	10	26:37	13
„ტორპედო" გ.	19	4	5	10	16:37	13
„სპარტაკი" თბ.	19	4	2	13	21:39	10

სოხუმელთა გამარჯვება

14 ივლისს თბილისის ლ. პ. ბერიას სახელობის „დინამოს" სტადიონზე შედგა საქართველოს მოზარდთა თასის გათამაშების ფინალური შეხვედრა. თამაშობდნენ თბილისის 35-ე ვაჟთა საშუალო სკოლისა და სოხუმის ნაკრები გუნდები (მათი პირველი შეხვედრა დამთავრდა ფრედ 1:1).

თამაშის 52-ე წუთზე სოხუმელი კურტანიძე (№ 9) სწრაფი დრიბლინგით მარცხნიდან შეიჭრა მოწინააღმდეგის საჯარიმო მოედანზე და ზუსტი დარტყმით გაიტანა ბურთი, რომელიც გადამწყვეტი აღმოჩნდა.

• • •

სოხუმისა და თბილისის ნორჩ ფეხბურთელთა შეხვედრის მომენტი. ფოტო მ. ზარგარიანისა

ფეხბურთის მოედნებზე

თბილისის „სპარტაკი" კარგ ფორმაშია

ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქის სპარტაკელების ენერგიული, მეგობრული კოლექტივი მატჩიდან მატჩამდე აუმჯობესებს თამაშს. ამის ნათელ დადასტურებას წარმოადგენდა მოსკოვის „დინამოს" სტადიონზე 13 ივლისს გამართული შეხვედრა ადგილობრივ ვვს-სა და თბილისის „სპარტაკს" შორის.

თბილისელებმა მრავალრიცხოვან მაყურებელს აჩვენეს ტემპერამენტიანი, საზრიანი და მწვავე თამაში. თავდამსხმელები, რომელთა შორის განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ ნორაკიძე (№ 8) და კალოევი (№ 9), მახვილგონიერი კომბინაციებითა და ფლანგური სწრაფი გარღვევებით მეტად მძიმე მდგომარეობაში აყენებდნენ მასპინძელთა დაცვას, ნახევარმცველები გამყრელიძე და ნ. გაგნიძე კარგად უთავსებდნენ შეტევისა და დაცვის ფუნქციებს, მოწოდების სიმაღლეზე იდგნენ მცველები და მეკარე ჟმელკოვი.

უკვე თამაშის 27-ე წუთზე ანგარიში იყო 4:0 „სპარტაკის" სასარგებლოდ (ბურთები გაიტანეს გამყრელიძემ, კალოევმა (2), დალაქიანმა).

შესვენების შემდეგ თბილისელ ფეხბურთელებს იერიშები არ შეუნელებიათ და ორი თავური გარტყმის შედეგად (ნორაკიძე, კალოევი) ანგარიში გაზარდეს.

6:01 ასე დაამარცხა თბილისის „სპარტაკმა" ვვს-ი.

• • •

16 ივლისს ქ. გორკში ადგილობრივმა „ტორპედომ" შეუპოვარი ბრძოლის შემდეგ ანგარიშით 2:1 გამარჯვება მოიპოვა თბილისის „დინამოსთან".

აღსანიშნავია, რომ თბილისელთა რიგებში ამ დღეს არ იყვნენ სარჯველაძე, ელოშვილი, ძიაპშიპა, ღოღობერიძე, ჯოჯუა.

• • •

მოსკოვის „დინამოს" სტადიონის ტრიბუნებმა 17 ივლისს მატჩზე მოხვედრის ყველა მსურველი ვერ დააკმაყოფილა. ამ დღეს მოსკოვის „დინამომ" მიიღო თბილისის „სპარტაკი" და საინტერესო ასპარეზობის შემდეგ გაიმარჯვა — 3:1.

დედაქალაქის მაყურებლები გულთბილად მიესალმნენ „სპარტაკს", რომელმაც, მიუხედავად წაგებისა, აჩვენა მაღალტექნიკური და ტაქტიკური თამაში.

რესპუბლიკის თასზე

15 ივლისს დაიწყო საქართველოს თასის გათამაშება.

მოგვყავს პირველი დღის თამაშების ტექნიკური ანგარიში: გარდაბანი — ფოთის „დინამო" 1:7. გორის „დინამო" — წალკა 2:0, ხაშურის „ლოკომოტივი" — მახარაძის „დინამო" 3:4, მაიაკოვსკი — გურჯაანი 1:3, წითელი წყარო — დუშეთი 7:1, თბილისის ოფიცერთა სახლი — თბილისის 26 კომისრის რაიონი 6:0, საჩხერე — სოხუმის „დინამო" 3:1.

საქალაქო შეჯიბრება

დამთავრდა თბილისის პირველობის გათამაშება, რომელშიც მონაწილეობდა ქალაქის ფაბრიკა-ქარხნების, უმაღლესი სასწავლებლებისა და დაწესებულებების 49 გუნდი.

განსაკუთრებით საინტერესოდ მიმდინარეობდა გათამაშება I ჯგუფში, სადაც ქალაქის ჩემპიონის წოდება მესამედ ზედიზედ მოიხვეჭა თბილისის ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოს გუნდმა (მწვრთნელი ს. სიხარულიძე).

II ჯგუფში გამარჯვება მოიპოვეს სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატის კოლექტივმა. რომელიც მომავალ წელს პირველ ჯგუფში ითამაშებს.

III ჯგუფის 25 კოლექტივს შორის უძლიერესნი აღმოჩნდნენ აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის ფეხბურთელები.

გათამაშებაში II და III თანრიგები მიიღო 110-ზე მეტმა მოთამაშემ.

აღსანიშნავია, რომ პირველობა ჩატარდა ამხ. სემიონოვის მიერ რეკომენდირებული ქულობრივი სისტემით (მოგების შემთხვევაში გუნდს 2 ქულის დამატებით ყოველ ზედმეტ ბურთზე ეწერება 0,2 ქულა), რომელმაც დადებითი შედეგი გამოიღო.

ა. გოგელი,
თბილისის ინსპექტორი ფეხბურთში.

ბურთების შეფარდება თუ „სუფთა" ბურთები?

გაზეთ „ლელოს" ა. წ. მე-13 ნომერში მოთავსებული იყო ა. სემიონოვის წერილი სათაურით „ბურთების შეფარდება თუ „სუფთა" ბურთები?", სადაც ავტორმა წამოაყენა მეტად აქტუალური საკითხი: ფეხბურთში და სხვა სპორტულ თამაშებში ბურთების შეფარდების (გატანილი და მიღებული ბურთების გაყოფის) შეცვლა „სუფთა" ბურთებით, ე. ი. გამოკლებით.

ამხ. სემიონოვმა მრავალი ცდისა და ძიების შემდეგ გამოააშკარავა ის შეცდომები, რომელთაც ადგილი აქვს არსებულ სისტემაში. მართლაც, ქულათა თანაბარი რაოდენობის შემთხვევაში, როცა გუნდებს უნდა მიეკუთვნოს შესაფერი ადგილი და ვხელმძღვანელობთ ბურთების შეფარდების არსებული წესით, ზოგ შემთხვევაში შეიძლება შეცდომა დავუშვათ. მაგალითად, ორ გუნდს „ა"-ს და „ბ"-ს უკანასკნელი თამაშის წინ აქვთ ქულათა თანაბარი რაოდენობა და ბურთების ტოლი შეფარდება 10:40, რაც ორივე გუნდს აძლევს 0,25-ს. უკანასკნელ თამაშს ორივე გუნდი იგებს: „ა" — 3:0-ზე, „ბ" — 5:4-ზე.

ყველასათვის ცხადია, გამარჯვება 3:0 გაცილებით უკეთესია ვიდრე 5:4, მაგრამ თუ საბოლოოდ გამოვითვლით ბურთების შეფარდებას, მივიღებთ: „ა" გუნდი — 13:40=0,325, „ბ" გუნდი — 15:44=0,341, ე. ი. არსებული სისტემით ზოგჯერ უმჯობესია **მოიგო უარესი ანგარიშით, რომ დაიკავო უკეთესი ადგილი.** ასეთ აბსურდს ადგილი არ ექნება თუ მივიღებთ სემიონოვის მიერ რეკომენდირებულ სისტემას, ე. ი. გამოკლების წესს. ამ შემთხვევაში სიზუსტე სავსებით იქნება დაცული: 13—40=—27, ხოლო 15—44=—29; ცხადია —27 უმჯობესია —29-ზე, ე. ი. „ა" გუნდმა, რომელმაც უკანასკნელი თამაში მოიგო **უკეთესი ანგარიშით** (3:0) კანონიერად დაიკავა **უკეთესი ადგილი.**

ავიღოთ იგივე მაგალითი შებრუნებით. ქულათა თანაფარდობაში „ა" და „ბ" გუნდებს ბურთების შეფარდება აქვთ 40:10=4,0. უკანასკნელ თამაშს „ა" გუნდი აგებს 0:3-ზე, ხოლო „ბ" გუნდი 4:5-ზე. რა თქმა უნდა, მიუხედავად წაგებისა, „ბ" გუნდს უკეთესად უთამაშია და ბურთების უკეთესი შეფარდებაც უნდა ჰქონდეს, მაგრამ სინამდვილეში ეს ასე არ ხდება. „ა" გუნდს შეფარდება ექნება 40:13=3,08, მაშინ როცა „ბ"-ს 44:15=2,93.

აქედან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ არის შემთხვევები, როცა სუსტად ნათამაშევ შეხვედრას შეუძლია უკეთესი შედეგი მოიტანოს(?!).

თუ ვიხელმძღვანელებთ გამოკლების წესით, მივიღებთ სწორ პასუხს: 40—13=27, ხოლო 44—15=29. ცხადია, **უკეთესი განსხვავება აქვს იმ გუნდს, რომელმაც უკეთ ითამაშა.**

• • •

ამხ. სემიონოვის მასალის ჩვენს გაზეთში გამოქვეყნების შემდეგ რედაქციაში შემოვიდა მრავალი წერილი, რომლებშიც დაინტერესებული პირები მხარს უჭერენ სემიონოვის წინადადებას და გამოთქვამენ აზრს, რათა, რაც შეიძლება მალე იქნას ეს ცვლილება შეტანილი საკავშირო მასშტაბით და ქულების თანაფარდობის შემთხვევაში გუნდებს ადგილი შეუცდომლად მიეკუთვნოს. შემოსული წერილების ავტორთა შორის აღსანიშნავი არიან სტალინური პრემიის ლაურეატები ინჟინრები ამხ. ვ. ჭანკოტაძე, ა. მიქაბერიძე და ს. რუტკოვსკი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი კ. ზავრიევი, საქართველოს ფიზკულტურის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი გ. ჩიყვაიძე და სხვ.

ამ საკითხზე საქართველოს ფიზკულტურის კომიტეტის ფეხბურთის სექციამ ა. წ. 16 ივლისს მოიწვია თათბირი, რომელსაც დაესწრნენ მსაჯები, მწვრთნელები, ფეხბურთელები და სხვ.

ამხ. სემიონოვმა დამსწრეთ გააცნო თავისი წინადადება და მრავალი მაგალითით (მათ შორის საბჭოთა კავშირის ჩემპიონატების ისტორიიდანაც) ნათლად დაამტკიცა ბურთების შეფარდების სისტემის არასიზუსტე; იგივე მაგალითებზე „სუფთა" ბურთები ყოველთვის იძლევიან ზუსტ და შეუცდომელ სურათს.

ფეხბურთის რესპუბლიკურმა სექციამ აღძრა შუამდგომლობა საქართველოს ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტის წინაშე, რათა სემიონოვის წინადადება ბურთების შეფარდების „სუფთა" ბურთებით შეცვლის შესახებ გატარებულ იქნეს ცხოვრებაში საქართველოს პირველობის მიმდინარე გათამაშების მეორე წრეში.

გაშლილი აფრების ქვეშ

17 ივლისის დღის 2 საათია. ბათუმის ლ. პ. ბერიას სახელობის პიონერთა პარკი საზეიმოდაა მორთული. მოლივლივე ზღვის ზედაპირზე ოდნავ შესამჩნევად ქანაობენ იალქნიანი ნავები. ბათუმის მოსწავლე სპორტსმენები მზად არიან მიიღონ მრავალდღიანი გადასვლის სტარტი.

მათი ლაშქრობის მარშრუტია ბათუმი-სოხუმი-ბათუმი. შესანიშნავი ამინდი და ზურგის ქარი საუკეთესო პირობებს ქმნიან გადასვლისათვის. სტარტი. 6 აფრიანი ხომალდი და კატერი მსუბუქად დაიძრნენ, გააპეს ტალღები და ჩრდილოეთის გზას გაუდგნენ. ღამის 12 საათზე ისინი უკვე ფოთის სასიგნალო კოშკებთან იყვნენ, ცოტა ხანში მოლაშქრენი ნავსადგურს მიადგნენ.

გადასვლის მონაწილეებმა ფოთში დაათვალიერეს კომუნიზმის დიად მშენებლობათა გამოფენა, მუზეუმი.

ლაშქრობა გრძელდება.

პ. საჯაჩიძე

(ჩვენი სპეც. კორ.).

ბათუმი — ფოთი.

ქალაქის ჩემპიონები ფარიკაობაში

ლენინის სახელობის სპორტდარბაზში გაიმართა თბილისის პირველობა ფარიკაობაში, რომელშიც მონაწილეობდა 65 სპორტსმენი.

დაძაბული ბრძოლის შემდეგ გამარჯვება წილად ხვდა „დინამოს". მეორე ადგილზე გამოვიდნენ თბილისის სახალხო განათლების განყოფილების ნორჩი სპორტსმენები, რომლებმაც ღირსეული წინააღმდეგობა გაუწიეს გამოცდილ მეტოქეს.

რაპირით ბრძოლაში ქალთა შორის გაიმარჯვა ი. კმეცინსკაიამ („დინამო"), ხოლო ვაჟებში — სპორტის ოსტატმა გ. აბრამოვმა („დინამო"); მანვე მოიპოვა პირველობა ესპადრონში. ქალაქის ჩემპიონის წოდება შპაგაში მოიხვეჭა რ. ცირეკიძემ (განათლების განყოფილება); ელასტური ხიშტით ბრძოლაში უძლიერესი აღმოჩნდა დინამოელი შ. ენდელაძე.

შეჯიბრებამ გამოავლინა ბევრი ნიჭიერი ახალგაზრდა მოფარიკავე.

აღსანიშნავია ზოგიერთი სპორტსაზოგადოების ხელმძღვანელთა უსულგულო დამოკიდებულება ამ შეჯიბრებისადმი. მაგალითად, თბილისის ოფიცერთა სახლმა, „ნაუკამ", ფიზკულტურის ინსტიტუტმა შეჯიბრებაზე გუნდები არ გამოიყვანეს.

ქ. გამრეკელი,

შეჯიბრების მთავარი მსაჯი, რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი.

სტუდენტთა მეხუთე საკავშირო სპარტაკიადა

მოსკოვის სამხედრო ოლქის სტადიონზე 6 დღეს გრძელდებოდა სტუდენტთა მეხუთე საკავშირო სპარტაკიადა. ჩვენი ქვეყნის უმაღლესი სასწავლებლების 1.200 უძლიერესი სპორტსმენი ერთმანეთს ეჯიბრებოდა მძლეოსნობაში, ტანვარჯიშში, ცურვასა და კალათბურთში.

ტარტუს სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებმა პირველი ადგილი მოიპოვეს მძლეოსნობაში. ტანვარჯიშში პირველობა წილად ხვდა სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კოლექტივს. კალათბურთში გაიმარჯვეს ლენინგრადის ელექტროტექნიკური ინსტიტუტის სპორტსმენებმა, ცურვაში — ლენინგრადის გემთმშენებელი ინსტიტუტის წარმომადგენლებმა. სპარტაკიადაზე მოცურავეებმა დაამყარეს სპორტსაზოგადოება „ნაუკას" 11 რეკორდი.

მძლეოსანთა შეჯიბრებებში კარგ შედეგებს მიაღწიეს თბილისის წარმომადგენლებმა ლ. სანაძემ და ვ. შმაკოვმა. ლ. სანაძე პირველი იყო 100 მეტრზე რბენაში, ხოლო ვ. შმაკოვი — შუბის ტყორცნაში (60,82 მეტრი).

ტანვარჯიშის ოსტატთა პირად პირველობაში გაიმარჯვეს თბილისელებმა ვ. ციხითათრიშვილმა და ვ. კულუმბეგიშვილმა.

მეზღვაურთა კლუბში

სოხუმი. (ჩვენი საკ. კორ.). ქალაქის საზღვაო სპორტული კლუბი მეზღვაურთა ფიზკულტურული მოძრაობის ნამდვილ ცენტრს წარმოადგენს. აქ ჩამოყალიბებულ ცურვის, სასტენდო სროლის, შაშის, ჭადრაკის და სხვა წრეებში მრავალი მეზღვაური მეცადინეობს. ნაყოფიერად მუშაობს ნებაყოფლობითი სპორტსაზოგადოება „ვოდნიკის" ძირეული საბჭო (თავმჯდომარე ამხ. ი. ლაპუშკინი), რომელიც 90-მდე წევრს აერთიანებს.

კლუბში მეზღვაურ ფიზკულტურელთათვის სისტემატურად ეწყობა ლექციები და მოხსენებები სპორტის თემებზე.

სოხუმის საზღვაო სადგურის ხელმძღვანელობა და მეზღვაურთა კლუბის კოლექტივი ენერგიულ მუშაობას ეწევიან საბჭოთა მეზღვაურების ფიზიკური გამოწრთობისათვის.

ორი მგელი ცოცხლად

სოფელ ერტისში მცხოვრები 55 წლის კოლმეურნე სანდრო ალდგომელაშვილი 15 წელია, რაც მგლებზე ნადირობს. ამას წინათ მას აცნობეს, რომ სოფელს შემოეჩვია მგლების ხროვა, რომელიც საგრძნობ ზიანს აყენებს მოსახლეობას.

გულადი მონადირე გაჰყვა მგლების კვალს და მიაგნო ბუნაგს. ბუნაგის თავზე მან შენიშნა ხუთი ახალგაზრდა მგელი. სანდრო მოხერხებულად მიეპარა მათ და მოჰკლა ორი მგელი, სამმა კი ბუნაგში დამალვა მოასწრო. მონადირემ შებოლვით მგლები ბუნაგიდან გამოაძევა, რის შემდეგ ერთი მოკლა და ორი ცოცხლად დაიჭირა.

ს. ალდგომელაშვილმა თეთრი წყაროს მონადირეთა კავშირს ჩააბარა ორი ცოცხალი მგელი და სამი მგლის ტყავი.

ჩ. მეტრეველი

თეთრი წყაროს რაიონი.

ბათუმის სპორტული ცხოვრება

ლ. პ. ბერიას სახელობის პიონერთა პარკის ტბაზე ჩატარდა შეჯიბრება ნიჩბოსნობაში.

ბაიდარებით 1.000 მეტრიან მანძილზე ახალგაზრდა ნიჩბოსანმა ა. მალიშევამ უკან ჩამოიტოვა საქართველოს 1950 წლის ჩემპიონი ნ. აბაშიძე და პირველი მივიდა ფინიშის ხაზზე. მისი დროა 8:42,1.

ორადგილიანი ბაიდარებით 1.000 მეტრზე ყველას აჯობეს ნ. გვალიამ და გ. კალანდაძემ.

საინტერესო იყო მეიალქნეთა შეჯიბრება. ნიჩბოსნობის ამ სახეში პირველობა კალანდაძის გუნდმა მოიპოვა.

ხ. პავლიაშვილი

დამთავრდა ფრენბურთელთა საქალაქო თასის გათამაშება. ვაჟთა ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ „დინამოსა" და ტყავის ქარხნის წარმომადგენლები. დაძაბულ ბრძოლაში გაიმარჯვა ქარხნის კოლექტივმა (3:2).

პ. კეთილაძე

• • •

ამას წინათ გაიმართა საჭადრაკო ტურნირი აჭარის სახელმწიფო ფილარმონიის პირველობაზე. ტურნირში გამარჯვებული გამოვიდა ვ. დოლვაძე, მეორე-მესამე ადგილები გაიყვეს ქ. მეგრელიძემ და ა. გრიხლოვმა.

გ. გაბისონია

სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში ფეხბურთის მიმოხილვა

...სოფიის სტადიონი „ნაროდნა ვოისკა". 25 ათასი მაყურებელი დაძაბული ინტერესით ადევნებს თვალს „დინამოს" და „ცდნვ"-ს შეხვედრას. ამ ორი სპორტული კლუბის ფეხბურთელები ყველაზე მეტი პოპულარობით სარგებლობენ ბულგარეთში. „ცდნვ"-ს (სახალხო არმიის ცენტრალური სახლი) გუნდი, რომელმაც სახელი გაითქვა რესპუბლიკის უკანასკნელ ჩემპიონატებში ამ მატჩისათვის ლიდერობდა მიმდინარე წლის პირველობის გათამაშებას. სოფიის „დინამოს" (ყოფ. „ლევსკი") არაერთხელ მოუპოვებია ბულგარეთის ჩემპიონის წოდება. მან აგრეთვე ოთხჯერ მოიგო სახალხო ბულგარეთის ყველაზე პოპულარული საფეხბურთო ჯილდო — საბჭოთა არმიის თასი.

შეჯიბრება მეტად დაძაბული და საინტერესო გამოდგა. მხოლოდ შეხვედრის მეორე ნახევარში აიძულა არმიელმა იანკოვმა დინამოელები თამაში ცენტრიდან დაეწყოთ, მაგრამ არ გასულა 3 წუთიც, რომ „დინამოს" თავდამსხმელებმა ანგარიში გაქვითეს. აღსანიშნავია, რომ ეს პირველი ბურთი იყო, რომელიც გატანილი იქნა „ცდნვ"-ს კარში მიმდინარე სეზონის დაწყებიდან.

მსაჯის სასტვენამდე რამდენიმე წუთით ადრე არმიელთა იერიში დაგვირგვინდა კიდევ ერთი ზუსტი დარტყმით, რის შედეგად გაიმარჯვა „ცდნვ"-მ — 2:1.

დინამოელებზე გამარჯვებამ თითქოს უფრო მყარი გახადა ლიდერის მდგომარეობა. 6 შეხვედრაში არმიელებმა მოაგროვეს 11 ქულა. მართალია, ამდენივე ქულა ჰქონდა სოფიის „სპარტაკს", მაგრამ 7 შეხვედრიდან. მიუხედავად ამისა, გაიდა კიდევ ორი ტური და მდგომარეობა შეიცვალა. არმიელებმა მოიპოვეს ერთი გამარჯვება, ხოლო დამარცხდნენ „სპარტაკთან". წარმატებით აღფრთოვანებულმა სპარტაკელებმა ამის შემდეგ დაამარცხეს „ჩერვონა ზნამია", მოაგროვეს 15 ქულა და მტკიცედ ჩაუდგნენ სათავეში ბულგარეთის ჩემპიონატის ცხრილს. „ცდნვ"-ს, რომელსაც ჩატარებული აქვს ერთი შეჯიბრებით ნაკლები, მოგროვილი აქვს 13 ქულა. აღსანიშნავია არმიელთა გუნდის მიერ გატანილი და მიღებული ბურთების საუცხოო შეფარდება — 23:2.

ფეხბურთი განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში. ეს თვალწარმტაცი თამაშობა სტადიონებზე იზიდავს ასი ათასობით მაყურებელს. მაგალითად, მარტო უნგრეთში მიმდინარე ჩემპიონატის შეხვედრებს უკვე დაესწრო 800 ათასზე მეტი კაცი.

უნგრეთის ჩემპიონატში უკვე დამთავრდა პირველი წრე. 13 ტურის შემდეგ წინ არის ბუდაპეშტის „ბაშტია" (23 ქულა). მეორე ადგილზეა უნგრეთის არაერთგზის ჩემპიონი — არმიელთა გუნდი „ჰონვედი" (ბუდაპეშტი), რომელიც ლიდერს 1 ქულით ჩამორჩება. საბჭოთა მაყურებელთათვის ცნობილი გუნდი „ვაშაში" 16 ქულით მეოთხე ადგილზეა. „ვაშაში" ჩემპიონატში მონაწილეობს თითქმის იმავე შემადგენლობით, რომლითაც თამაშობდა ორი წლის წინათ საბჭოთა კავშირში ყოფნის დროს. აქ კვლავინდებურად გამოირჩევიან ილოვსკი, ლორანტი, სილადი. გუნდის კარს იცავს რუჟა.

უნგრეთის ფეხბურთის ტაქტიკისათვის დიდხანს იყო დამახასიათებელი თამაშის სისტემა „ხუთი ხაზზე". ამჟამად ეს სისტემა მოდერნიზებულია და თავისი ხასიათით უფრო „სამი მცველის" სისტემას წააგავს. უნგრელი ფეხბურთელები ფიზიკურად კარგად არიან მომზადებული და ადვილად იტანენ მაღალ ტემპს. თავდამსხმელები იერიშზე გადადიან მოკლე, მარდი გადაცემებით. უნგრელი ფეხბურთელების შეხვედრებმა საბჭოთა კავშირის საუკეთესო გუნდებთან დიდი გავლენა იქონიეს უნგრეთის ფეხბურთის კლასის სრულყოფაზე.

ჩემპიონატის პირველი წრის დამთავრების შემდეგ უნგრელ ფეხბურთელებს დაეწყოთ საზაფხულო შესვენება. მეორე წრის პირველი მატჩები გაიმართება მხოლოდ აგვისტოს დამდეგს. კალენდარულ თამაშებიდან თავისუფალ დროს ფეხბურთელები გამოიყენებენ დასვენებისა და სწავლისათვის. ამას წინათ უნგრეთში შედგა მწვრთნელთა და ფეხბურთელთა თათბირი. ცნობილმა უნგრელმა მწვრთნელმა მარტონ ბუკოვიმ, ილაპარაკა რა თამაშის ტექნიკასა და ტაქტიკაზე, აღნიშნა საბჭოთა ფეხბურთის მოწინავე გამოცდილების დიდი მნიშვნელობა. „საბჭოთა ფეხბურთის ტაქტიკის თავისებურება, — თქვა მან, — აითვისეს არა მარტო ჩვენმა წამყვანმა გუნდებმა, არამედ ჩვენი ფეხბურთის რიგითი გუნდების უმრავლესობამაც."

რუმინეთის პირველობის გათამაშებაში წინ მიდის „კკა"-ს (არმიის ცენტრალური სახლი) გუნდი. არმიელებმა შვიდჯერ გაიმარჯვეს ზედიზედ, მათ არა აქვთ არც ერთი წაგება, არც ერთი ფრე. გუნდი შედგება ახალგაზრდა და ნიჭიერი მოთამაშეებისაგან. მისი ორივე მეკარე ვოინესკუ და იონესკუ იცავენ რუმინეთის ნაკრების კარს. გუნდს ჰყავს თავდამსხმელთა ძლიერი ხუთეული, სადაც განსაკუთრებით გამოირჩევიან გარემარბები ზავოდა და მოლდოვიანუ. „კკა"-ს თამაშისათვის დამახასიათებელი[illegible] ბელი ტემპი.

რუმინეთის შარშანდელ ჩემპიონს „ფლამურა როშიის" (ქ. არადი) მიმდინარე წლის პირველობის გათამაშებაში მოგებული აქვს მხოლოდ ერთი შეხვედრა.

ჩეხოსლოვაკიის ჩემპიონის წოდება ორჯერ — 1949 და 1950 წლებში — მოიპოვა „ბრატისლავამ". ეს მნიშვნელოვანი მოვლენა იყო, რამდენადაც წინა წლებში ჩემპიონის საპატიო ტიტულს მხოლოდ პრაღის გუნდები „სპარტა" და „სლავია" იგებდნენ.

ჩეხოსლოვაკიის მიმდინარე ჩემპიონატში ლიდერობს „ოკდ-ოსტრავა", ამ გუნდის ფეხბურთელებმა შვიდი შეხვედრიდან 12 ქულა მოაგროვეს. „ბრატისლავას", რომელმაც ფრედ დაამთავრა შეხვედრები „ოდ-პრალასთან" (1:1) და „სპარტასთან" (2:2) 8 თამაშიდან მოგროვილი აქვს 9 ქულა.

დღევანდელ ჩეხოსლოვაკიაში ფეხბურთი ნამდვილ ხალხურ თამაშს წარმოადგენს. აქ ერთი წლის მანძილზე საფეხბურთო შეჯიბრებებში მონაწილეობდა 125 ათასი სპორტსმენი— თითქმის სამჯერ მეტი, ვიდრე სხვა სპორტულ შეჯიბრებებში.

უნგრეთის, პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის, ბულგარეთის, რუმინეთის ფეხბურთის ოსტატები გულისყურით სწავლობენ მოსკოვის, თბილისის, ლენინგრადის, კიევის ფეხბურთის საუკეთესო გუნდების ტექნიკასა და ტაქტიკას.

საბჭოთა კავშირის მაგალითის მიხედვით სახალხო დემოკრატიის ქვეყნების უმრავლესობაში ჩემპიონატები ტარდება იმავე ვადებში, რაც ჩვენთან, ორ წრედ, „ა" და „ბ" კლასების მიხედვით. ამასთან „ა" კლასში ძირითადი შემადგენლობების შეჯიბრებებთან ერთად ტარდება დუბლიორთა შეხვედრებიც. დუბლიორთა შემადგენლობები ერთმანეთს ეცილებიან მათთვის სპეციალურად დაწესებულ ჯილდოს. ამ შეხვედრებში იზრდება სახალხო დემოკრატიის ქვეყნების ფეხბურთის გამოჩენილი ოსტატების ღირსეული ცვლა.

ნ. ტარასოვი



უნგრეთის პირველობა ფეხბურთში. **სურათზე:** „დოჟას" (ბუდაპეშტი) და „ლოკომოტივის" (სომბათხელი) გუნდების შეხვედრა. „დოჟას" მოთამაშე სუსა საჯარიმო დარტყმით ბურთს ათავსებს „ლოკომოტივის" კარში.

„დარიალში"

მაღალმთიანი კურორტი „დარიალი" საქართველოს ერთ-ერთ წარმტაც კუთხეში — ყაზბეგის რაიონში მდებარეობს. შესანიშნავი ბუნება და მომხიბლავი მიდამოები საუკეთესო პირობებს ქმნიან მშრომელთა ჯანსაღი დასვენებისათვის.

კურორტს აქვს სამკურნალო ფიზკულტურისათვის კარგად მოწყობილი კაბინეტი, სადაც დამსვენებლებს საშუალება ეძლევათ მიიღონ სხვადასხვა პროცედურა. გარდა ამისა მოწყობილია ფრენბურთის მოედანი. აქ ყოველ საღამოს იმართება შეჯიბრებები დამსვენებელთა გუნდებს შორის.

დილაობით ტარდება ფიზკულტურული დაჭერა, რომელსაც გამოცდილი ინსტრუქტორი ხელმძღვანელობს.

სამკურნალო ფიზკულტურის მეთოდებით მკურნალობა ფართოდაა გამოყენებული კურორტ „დარიალში" და მას მეტად ეფექტური შედეგი მოაქვს.

დამსვენებლები: გ. გენებაშვილი, ნ. სანაძე, შ. ჩიქოვანი, გ. ბახუტაშვილი, ი. მოხეშვილი და სხვ., სულ 8 კაცი.

შეჯიბრება მძლეოსნობაში

სტალინირი. ქალაქის სტადიონზე სამი დღის განმავლობაში მიმდინარეობდა შეჯიბრება ქალაქის პირველობაზე მძლეოსნობაში.

მძლეოსნობის სხვადასხვა სახეში გაიმარჯვეს თ. ახალკაცმა, გ. ქოქოევმა, შ. ქერდიკაშვილმა, ა. ხმიტანიუკმა და სხვ.

ვ. მელქოევი

მოკლე ცნობები

ქუთაისი. ცენტრალურ სპორტულ დარბაზში გაიმართა საკავშირო დაუსწრებელი შეჯიბრება სიმძიმეების აწევაში. შეჯიბრებაში გაიმარჯვეს პედაგოგიური ინსტიტუტის ძალოსნებმა.

ქ. მიხელიძე

• • •

ბაკურიანი. ზესტაფონის ლ. პ. ბერიას სახელობის ფეროშენადნობთა ქარხნის პიონერთა ბანაკის დამსვენებელ პიონერთა ჯგუფმა ამ დღეებში მოაწყო ლაშქრობა მწვერვალ „კოხტა გორაზე".

პიონერები ფ. დანელია, ი. ცქიტიშვილი, უ. ფუტკარაძე.

პასუხისმგებელი რედაქტორი

მ. კაკაბაძე

გაზეთი გამოდის პარასკეობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12, II სართული. დეპეშებისათვის: თბილისი „ლელო". ტელეფონი 3-90-34.
ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტირაჟი 15.000. უე 02798